# საინფორმაციო ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

19 დეკემბერს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმი. პლენუმზე მოწვეული იყვნენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, რაიკომების უფლებების მქონე პარტიული კომიტეტების მდივნები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, საქართველოს სსრ მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, რესპუბლიკის უწყებებისა და ცენტრალური დაწესებულებების ხელმძღვანელები, რომლებიც არ შედიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ამხ. ა. გ. კოლმაკოვი.

პლენუმის განსახილველად გამოტანილი იყო საკითხები:

„საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ამ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული მითითებების შესასრულებლად".

„საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები და საქართველოს სსრ 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება".

მოხსენება პირველ საკითხზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

მოხსენებანი მეორე საკითხზე გააკეთეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ე. მ. ჯაფარიძემ და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა ამხ. ფ. ა. ანანიაშვილმა.

მოხსენებათა გამო დაიწყო კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ბ. ვ. ადლეიბა, გორის ბამბეულის კომბინატის მრთველი ამხ. თ. ა. დალელაშვილი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. რ. პაპუნიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ამხ. ე. კ. ხარაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. ბურბენიძე, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი ამხ. ა. ო. მოვსესიანი, საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი ო. ი. ღლონტი, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. თ. ი. მოსაშვილი, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" ზეინკალ-მექანიკოსი ამხ. ვ. ვ. ბონჩაროვი, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის ავტოსაქარხნო რაიკომის პირველი მდივანი ამხ ნ. შ. ავალიანი, წითელწყაროს რაიონის [illegible] კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ყოჩიაშვილი, სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს სამმართველოს უფროსი ამხ. ნ. ა. გიორგობიანი, პარტიის თბილისის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ნ. ნ. ნეფედოვი, „საქფრინველმრეწვის" საწარმოო გაერთიანების მმართველი ამხ. ვ. ი. ბვარჯალაძე, საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ვ. ლ. ბატიაშვილი, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ამხ. გ. პ. გამცემლიძე, მარნეულის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „გამარჯვების" დირექტორი ამხ. ქ. ს. მამედოვი, საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. კ. ვ. ჯანჯღავა.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა ამხ. ვ. მ. სირაძე სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნისა და ბიუროს წევრობის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია ამხ. ვ. ნ. ენუქიძე.

(საქინფორმი).


საჭადრაკო 46-ე ჩემპიონატი თბილისი 1978

ცამეტი ტურის შემდეგ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 248 (6303)

1978 წ. 20 დეკემბერი ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## თამაშის განახლებისას...

როგორც ცნობილია, გადადებული იყო 12 პარტია. ორ მათგანში ბრძოლა არ განახლებულა: გ. კუზმინი დანებდა მ. ტალს, ხოლო ვ. ბაგიროვი და ს. მაკარიჩევი ყაიმზე შეთანხმდნენ. მიუხედავად მისა, დანარჩენ პარტიებს არ ეყო სათამაშოდ გამოყოფილი 6 საათი და სამი პარტია მაინც დაუმთავრებელი დარჩა. ამის მიზეზი იყო თ. გიორგაძე. იდრე ვწერდით, რომ მას ვ. ცეშკოვსკისთან გადადებულ პარტიაში ძალიან გაურკვეველი პოზიცია ჰქონდა და ეს თამაშის განახლებისასაც დადასტურდა. საშინაო ანალიზმა გამოავლინა ომსკელი დიდოსტატის პოზიციის ჩრდილოვანი მხარეები. ამან უბიძგა გიორგაძეს გამოეყენებინა პოზიციის გაძლიერების მცირე შესაძლებლობებიც. თბილისელი დიდოსტატი მარჯვედ თამაშობდა. მან შეძლო ფიგურის მოგება, მაგრამ დაფაზე ცნობილი თეორიული პოზიცია შეიქმნა.

გიორგაძე



ცეშკოვსკი

სწორი თამაშის შემთხვევაში ასეთი პოზიცია, როგორც წესი, ყაიმით მთავრდება, მაგრამ დიდოსტატებს მოუგიათ ხოლმე იგი. ჩემი ნახევარსაუკუნოვანი სატურნირო პრაქტიკის მანძილზე სამჯერ შევძელი მსგავსი დაბოლოების მოგება. ეს, რა თქმა უნდა, ლაფსახთან, თამაშის დროს. ზემომოყვანილი პოზიცია შეიქმნა 11-საათიანი შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ შავების 105-ე სვლაზე. ახლა ცეშკოვსკის შესაძლებლობა ეძლევა ახლოს გაეცნოს ამ ტიპის ენდშპილს. სწორედ მან ჩაიწერა თავისი 106-ე სვლა. ამ პარტიის გამო გიორგაძეს დაუმთავრებელი დარჩა შეხვედრა ბ. გულკოსთან.

სამი პარტია ჰქონდა გადადებული ი. რაზუვაევს და ყველა ზედმეტი პაიკით. პარტიების დამთავრებამ მას მხოლოდ უსიამოვნება მოუტანა: ა. ბელიავსკი ზუსტად ეთამაშებოდა და ლაზიერების გაცვლის შემდეგ თამაში ეტლების დაბოლოებაში გადავიდა, სადაც ყაიმი გარდაუვალი აღმოჩნდა. სწრაფად დაგვირგვინდა საზავო ხელშეკრულებით მისი შეხვედრა ი. დორფმანთან. ო. რომანიშინთან პარტიაში მსაჯთა კოლეგიას მოუხდა ჩარევა: ლვოველმა დიდოსტატმა პოზიციის სამჯერ გამეორების გამო ყაიმი მოითხოვა. მისი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა.

სამი დაუმთავრებელი პარტია ჰქონდა, აგრეთვე, ჰ. კასპაროვს. ბევრს მიაჩნდა, რომ ჭაბუკი მოჭადრაკე შეძლებდა გულკოსთან პარტიაში პოზიციური უპირატესობის რეალიზებას, მაგრამ სსრ კავშირის ჩემპიონმა მოულოდნელად შესწირა პაიკი და საინტერესო კონტრთამაში გაჩაღა. შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ა. მიხალჩიშინთან თავგამოდებული წინააღმდეგობის მიუხედავად კასპაროვი იძულებული გახდა შერიგებოდა წაგებას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ პარტიაში იყო მომენტი, როცა თითოეულ მეტოქეს ორ-ორი ლაზიერი ჰქონდა. დაუმთავრებელი დარჩა კასპაროვის შეხვედრა ბელიავსკისთან. აქ ძნელი სათქმელია შეძლებს თუ არა ბელიავსკი წაგებიდან თავის დაღწევას.

ყაიმით დამთავრდა ორი პარტია: პოლუგაევსკი — ბაგიროვი და სვეშნიკოვ — ბელიავსკი.

ამრიგად, გადამწყვეტი ხუთი ტურის წინ ერთპიროვნულად ლიდერობს მ. ტალი — 8 ქულა. მას კვალში მიჰყვებიან ა. ბელიავსკი 7 ქულა და 1 გადადებული პარტია, ლ. პოლუგაევსკი — 7, ვ. ცეშკოვსკი 6,5 (1), ე. გელერი, ო. რომანიშინი, ე. სვეშნიკოვი — 6,5-6,5, თ. გიორგაძე — 5,5 (2).

დღეს გაიმართება XIII ტური, რომელშიც ერთმანეთს შეხვდებიან:



ს. მაკარიჩევი

რ. ჭაშის მეგობრული შარჟი.

ან: გიორგაძე — ტალი, ბელიავსკი — რომანიშინი, პოლუგაევსკი — მიხალჩიშინი, რაზუვაევი — ცეშკოვსკი, გულკო — სვეშნიკოვი, კასპაროვი — დორფმანი, ტიმოშჩენკო — გელერი, კუზმინი — ბაგიროვი, ტუკმაკოვი — მაკარიჩევი.

ჩემპიონატში გადამწყვეტი შეხვედრების პერიოდი იწყება.

ვ. მიქენასი,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

## ცურვა

„ვეჩერნი ტბილისის" კარგი ინიციატივა

## ფეხბედნიერი თასი

საბჭოთა მოცურავეებს შორის დიდად პოპულარული გახდა საკავშირო თასის გათამაშება მრავალჭიდში. ამგვარი შეჯიბრება წლეულს მეექვსედ გაიმართა, ამჯერად უკვე უცხოელი სპორტსმენების მონაწილეობით. ლენინგრადის ცსკა-ს საცურაო აუზში ექვსი ქვეყნის სტუმრები — დიდი ბრიტანეთის, უნგრეთის, ჰოლანდიის, დანიის, კანადისა და რუმინეთის სპორტსმენებიც გამოდიოდნენ.

სამწუხაროდ, ასეთი შეჯიბრებების საგზურის მოპოვებას საქართველოს თითო-ოროლა მოცურავე თუ ახერხებს.

ასე იყო წლეულსაც. ლენინგრადის საცურაო აუზის სასტარტო კვარცხლბეკზე, საქართველოდან მხოლოდ თბილისელი ი. კუშელიოვი ავიდა — მრავალჭიდში III ადგილი დაიკავა სტაიერთა შორის.

შინ დარჩენილი დანარჩენი მოცურავეები ყოველგვარი ასპარეზობის მიღმა აღმოჩნდნენ. და აი, სწორედ ამ დროს გაზეთმა „ვეჩერნი ტბილისმა" თბილისელ მოცურავეთათვის დააწესა თავისი პრიზის გათამაშება. პირველი შეჯიბრება ვაკის საცურაო აუზში გაიმართა.

— „ვეჩერნი ტბილისის" პრიზის გათამაშება მიზნად ისახავს ცურვის პოპულარობის ამაღლებას და ჩვენი დედაქალაქის საუკეთესო საუწყებო გუნდის გამოვლენას. შეჯიბრება პირად-გუნდურია. თითოეულ გუნდში 30-მდე მოცურავე გამოდის. ჩათვლა I თანრიგისა და უკეთესი შედეგის მიხედვით წარმოებს. გამარჯვებულ გუნდს რედაქციის პრიზი — გარდამავალი თასი და შესაბამისი დიპლომი გადაეცემა, — გვითხრა გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" განყოფილების გამგემ ბ. კამენსკიმ.

სხვათა შორის, ბ. კამენსკი თავის დროზე ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი მოცურავე იყო. იგი მონაწილეობდა სსრ კავშირის ხალხთა პირველ სამ სპარტაკიადაში და ერთხელ ვერცხლის პრიზიორიც გახდა. ამას გარდა, ორჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი. აღსანიშნავია, რომ სპორტის ოსტატ ბ. კამენსკის რესპუბლიკურმა რეკორდმა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში 10 წელიწადს იარსება...

...„ვეჩერნი ტბილისის" პრიზის გათამაშება ფეხბედნიერი აღმოჩნდა. შეჯიბრების უკანასკნელ დღეს მეტოქეებმა — ა. გიორგაძემ („განთიადი"), ნ. მოროზოვმა („ვოდნიკი"), ი. კუშელიოვმა და ა. შირინკინმა (ორივე — „დინამო") თა-

(დასასრული მე-3 გვ.).

• • •

**სურათზე:** ნ. მოროზოვი, ა. შირინკინი, ა. გიორგაძე და ი. კუშელიოვი, რომლებმაც 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავეთა ესტაფეტაში საქართველოს რეკორდი დაამყარეს.

ა. გოგოლაშვილის ფოტო.



## კალათბურთი

**დაიწყო** კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ტალინის ტური. ისევე როგორც მინსკში, აქაც ექვსი კოლექტივი ასპარეზობს. მათ შორისაა თბილისის „დინამოც".

ქართველმა კალათბურთელებმა წარმატებით აიღეს სტარტი — პირველ მატჩში დაამარცხეს მასპინძელი, ტალინის „კალევი" — 82:77 (46:45).

ქვეყნის ჩემპიონმა ცსკა-მ ანგარიშით 113:54 (58:24) მოუგო ვლადივოსტოკის „სპარტაკს", კიევის „სტროიტელმა" დაამარცხა რიგის ვეფ-ი — 76:74 (44:45).

სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები

# სად ითამაშონ ბურთი?

სარედაქციო ფოსტა

ჩვენს წინ წერილებია დახვავებული. იწერებიან სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები — გორიდან, თელავიდან, ჭიათურიდან, ქუთაისიდან, გურჯაანიდან, რესპუბლიკის სხვა რაიონებიდან. მათ ერთი რამ აერთიანებთ: **ავტორებს სურთ მათთანაც აშენდეს, კეთილმოეწყოს, შეკეთდეს სტადიონი, სპორტული დარბაზი, საცურაო აუზი, ერთი სიტყვით, სპორტული ბაზა.**

ცხადია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდები სპორტული ბაზებით განებივრებულნი არ არიან. არადა, დღეს, როცა განსაკუთრებული სიმწვავით დგას პრობლემა — „მოზარდი და თავისუფალი დრო“, „მოზარდი და ქუჩა“, სპორტული ბაზების ქსელის გაფართოება სოფლად თუ ქალაქად, არსებული ბაზების მაქსიმალურად გამოყენება, შეკეთება და წესრიგში მოყვანა, უაღრესად აქტუალურ მნიშვნელობას იძენს. ეს ბევრგან კარგად გაიგეს და ზრუნავენ კიდეც პრობლემის გადასაჭრელად. მაგრამ, სამწუხაროდ, მთელ რიგ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ნაკლებად იწუხებენ თავს ადგილზე ფიზკულტურული მუშაობის გასაუმჯობესებლად, რასაც რედაქციაში შემოსული წერილებიც მოწმობს.

„ჩვენს სოფელში არ არის თუნდაც მარტივი ტიპის სპორტული ბაზა“, — გვწერენ **თელავის რაიონის სოფელ შალაურის** ახალგაზრდები. ადრე მათ ჰქონიათ საკუთარი ძალებით მოწყობილი ფეხბურთის მოედანი, დღეს კი ახალგაზრდობა ამასაც მოკლებულია. როგორც გამოირკვა, არსებულ მოედანზე სოფლის საშუალო სკოლის მშენებლობა დაუწყიათ (რატომ მაინცდამაინც მოედანზე?). „ახალი ტერიტორიის გამოსაყოფად თხოვნით მივმართეთ მეურნეობის ხელმძღვანელობას, სასოფლო საბჭოს, მაგრამ უარით გამოგვისტუმრეს“ — გულისტკივილით აღნიშნავენ წერილის ავტორები. არ ვიცით რას გვიპასუხებენ აღნიშნული რაიონისა და სოფლის ხელმძღვანელები, მაგრამ ვიტყვით, რომ ასეთ დღეში მარტო შალაურელები როდი არიან (თუ ეს მათთვის სანუგეშო იქნება).

„ფეხბურთის შესანიშნავი მოედანი გვქონდა, სადაც მრავალი საინტერესო სპორტული ღონისძიება იმართებოდა, — გვატყობინებენ **ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესის** ახალგაზრდები, — მაგრამ მალე გააუქმეს და მის ადგილზე ჩაის ფაბრიკის მშენებლობა დაიწყეს. შეგვპირდნენ ახალ მოედანს მოგიწყობთო, მაგრამ“... დაპირება დაპირებად დარჩა და ახალგაზრდები — სპორტული ბაზის გარეშე. მართალია, მათ გამოუძებნიათ ადგილი და მოუწყვიათ მინი-ფეხბურთის სათამაშო მოედანი, მაგრამ ახლა მობინადრეებმა „გამოიღეს ხელი“: „იმის მაგივრად, რომ მოედნის კეთილმოწყობაში დაგვეხმარონ, ჩვენს მიერ ჩარჭობილ ბოძებს თხრიან“. მიზეზს არ იკითხავთ? ბურთი ბოსტანში გადავარდება და ნათესებს გვგვითელავსო. ძნელი სათქმელია, სინამდვილეა თუ არა ეს უკანასკნელი ფაქტი, თუმცა, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში მშობლებიც ნაკლებად არიან დაინტერესებული მით თუ სად და როგორ ატარებენ ახალგაზრდები თავისუფალ დროს. საინტერესოა, რატომ ეკიდებიან ასე გულგრილად ლესის კოლმეურნეობის მესვეურები, კომკავშირის კომიტეტი და ფიზკულტურის მეთოდისტი (თუ კი იგი ჰყავთ) სოფლის ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორად გამოყენების საქმეს?

ფიზკულტურის მეთოდისტის ყოლა-არყოლაზე ეჭვი უსაფუძვლოდ არ გამოგვითქვამს. ზოგი კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელს, მიუხედავად იმისა, რომ შტატით ეკუთვნის ფიზკულტურის მეთოდისტი, არ აჰყავს იგი, რადგან „ზედმეტ ხარჯებს ერიდება“. ეს ამბავი **გორის რაიონის ნიქოზის კოლმეურნეობაში** შევიტყვეთ, როცა ახალგაზრდების მიერ გამოგზავნილ წერილში მოყვანილი ფაქტების შესამოწმებლად ვესტუმრეთ.

ნიქოზის კოლმეურნეობა სამ სოფელს (ქვემო და ზემო ნიქოზს და ზემო ხვითს) აერთიანებს, ამიტომ, ცხადია, კოლმეურნეობაში ახალგაზრდობა საკმაო რაოდენობითაა, მარტო კომკავშირელთა რიცხვი 100 აღწევს. ეს კი ანგარიშგასაწევი ძალაა. ვნახეთ კოლმეურნეობის კომკავშირელთა საერთო კრების 1978 წლის 1 მარტის ოქმი, სადაც ახალგაზრდები კოლმეურნეობის გამგეობას თხოვდნენ ფიზკულტურის მეთოდისტის დანიშვნას, მაგრამ ყოფილმა თავმჯდომარემ **ა. ხუციშვილმა** ყურადღებაც არ მიაქცია ამ თხოვნას. შედეგად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა მთლიანად ჩაკვდა, ქვემო ნიქოზის ფეხბურთის კეთილმოწყობილი მოედანი უყურადღებობის გამო გაველანდა, ხეხილისა და მანქანების სათარეშო გახდა.

ამჟამად კოლმეურნეობას ახალი ხელმძღვანელები ჰყავს. ისინი პირობას იძლევიან, რომ ახალი წლიდან კოლმეურნეობაში ფიზკულტურული მუშაობა გაჩაღდება, დაინიშნება ფიზკულტურის მეთოდისტი, მოეწყობა სპორტული სარბიელი, ჩამოყალიბდება სექციები, შეიძენენ სპორტულ ფორმას, ინვენტარს...

ვნახოთ.

სპორტული მოედნების უქონლობას უჩივიან **გურჯაანის რაიონის სოფელ ზემო გურჯაანის** ახალგაზრდებიც: „სკოლის მოედნების გარდა ჩვენს სოფელს არავითარი სპორტული ბაზა არ გააჩნია, — გვწერენ ისინი, — რაც შეეხება სკოლის სპორტულ მოედანს, იგი ჩვენთვის დახშულია — დირექტორის ბრძანებით გაკვეთილების შემდეგ მოედანზე ჩიტსაც კი არ აჭაჭანებენ. ერთი გამოსავალი დაგვრჩა — ქუჩაში თამაში“.

ჩვენი ახალგაზრდობისთვის ფეხბურთი ყოველთვის იყო სპორტის საინტერესო და მიმზიდველი სახეობა. თბილისის დინამოელთა მიერ უკანასკნელ წლებში მოპოვებულმა წარმატებებმა კიდევ უფრო გააღვივა ეს სიყვარული, მაგრამ, როგორც **ზესტაფონის რაიონის სოფელ წევის** ახალგაზრდები გვწერენ, სად ითამაშონ ბურთი? ადრე ჰქონდათ საკუთარი ძალით მოწყობილი ფეხბურთის მოედანი, მაგრამ იქ ტყე გაუშენებიათ და წყვილებიც და წიფლავაკელებიც ჩალაგამოვლებული დარჩენილან. ეს ორმაგად საწყენია, რადგან „ახლომახლო სათამაშო მინდორი — არსად არის — დაბა შორაპანში სტადიონი მშენებლებმა დაიკავეს, ძირულაში კი — მდინარემ“. ამიტომ, წეველი ახალგაზრდების კითხვა — „სად ვითამაშოთ ბურთი?“ — ალბათ პასუხსაც მოითხოვს.

ბოლოს გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ წერილზე, რომელიც **მარნეულის რაიონის სოფელ კრასნოედან** მივიღეთ. სპორტის მოყვარულები ა. ვეროიანი, პ. დანელიანი, ბ. მირზოიანი, მ. არუთუნიანი და ს. მირზოიანი გვწერდნენ, რომ სოფელს გააჩნია ფეხბურთის მოედანი. მაგრამ **ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის** (დირ. [illegible]შვილი) დირექცია მას [illegible] პირებსო.

[illegible] ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა გულ ახმედ ორუჯოვმა გვითხრა, მეურნეობა სამ სოფელს აერთიანებს და მათ შორის კრასნოესაც. მან დაადასტურა წერილის ავტორების აზრი, რომ მეურნეობის დირექციას მართლაც ჰქონია გადაწყვეტილი ფეხბურთის მოედნის საკუთარი საჭიროებისამებრ გამოყენება, მაგრამ კომკავშირის რაიკომის ჩარევის შედეგად, მართალია, მოედანი „გადარჩა“, მაგრამ იგი შემოუღობავებელია და ცხოველებისა და მანქანების სათარეშოდაა ქცეული.

ხშირად მეურნეობებისა თუ კოლმეურნეობების ხელმძღვანელებისგან ახალგაზრდების მიმართ საყვედური გვესმის. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ შემთხვევაში ეს პრეტენზიები უსაფუძვლო როდია. ასე იყო ამჯერადაც. მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა კრასნოედან ორი თუ სამი ახალგაზრდა დაგვისახელა, რომელთაც საკუთარი შრომით წვლილი შეაქვთ მეურნეობის შრომით წარმატებებში, გვიჩვენა, აგრეთვე, ამავე სოფელში მცხოვრები 12 კომკავშირელის და ფიზკულტურელის საღრიცხვო ბარათებიც. აღმოჩნდა, რომ ისინი მეურნეობაში... საერთოდ არ მუშაობენ.

სოფლის კომკავშირის კომიტეტისა და ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს წევრებმა აღგვითქვეს, რომ მოკლე დროში ყველაფერი მოგვარდება და ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრებაც გამოცოცხლდება. დაპირება კარგია, მაგრამ იგი მარტო დაპირებად არ უნდა დარჩეს.

ვ. დანელია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

# ფეხბედნიერი თასი

დასასრული

ვიანთი ძალები გააერთიანეს და 4X100 მეტრზე ესტაფეტაში თავისუფალი სტილით ცურვაში რესპუბლიკურ რეკორდზე (3.46,6) მიიტანეს იერიში. **ცდა წარმატებით დაგვირგვინდა — 3.43,9.**

აღსანიშნავია, რომ ა. გიორგაძის ამ შეჯიბრების ცისფერ ბილიკებზე გამოჩენამ ცოტა არ იყოს გაგვაოცა. საქმე იმაშია, რომ იგი კარგა ხანია წყალბურთელთა გუნდში ვარჯიშობდა. და აი, მოცურავეთა შორის დაბრუნება პირველივე შეჯიბრებაზე რესპუბლიკური რეკორდით აღნიშნა.

გაგვახარა დინამოელმა **ა. ტატუბალინმაც.** მან 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ყველას აჯობა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი — 2.34,0. მან სპორტის ოსტატის შედეგი აჩვენა 100-მეტრიან დისტანციაზეც (1.10,0), მაგრამ ამ წარმატებას კომბინირებულ ესტაფეტაში მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ ა. ტატუბალინი ცურვას სოხუმში ეზიარა და ახლა მეორე წელია, რაც თბილისში ვარჯიშობს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის **ლ. იოაკიმიდის** ხელმძღვანელობით.

100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში სპორტის ოსტატის ნორმატივს მიუახლოვდა II პრიზიორი ზ. კეკელია (1.12,8). როგორც ტატუბალინი, ისე კეკელიაც 16 წლისაა, მასაც ლ. იოკამიდი ავარჯიშებს. ორივეს კარგი ტექნიკა აქვს და, ვიმედოვნებთ, კარგი მომავალიც.

შეჯიბრებაში სპორტის ოსტატის ნორმატივებით გაიმარჯვა **ი. კუშპელიოვმა.** მან ამ წარმატებებს 200, 400 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მიაღწია (შესაბამისად 1.59,2, 4.47,7 და 16.37,3).

სპორტის ოსტატის შედეგი კიდევ ერთმა, დინამოელმა **ლ. ციბულსკაიამ** აჩვენა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში — 1.11,3.

რაც შეეხება გუნდურ პირველობას, აქ საუკეთესო იყო **დინამოელთა კოლექტივი** — 370 ქულა. მათვე გადაეცათ „ვეჩერნი ტბილისის“ გარდამავალი თასი, II ადგილზეა **„განთიადი“** — 297 ქულა, ხოლო III **„ბურევესტნიკი“** — 97 ქულა. მათ გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „ლოკომოტივის“, „შრომითი რეზერვებისა“ და „სპარტაკის“ წარმომადგენლები.

რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ „შრომითი რეზერვების“ მოცურავეებზე. მათი უფერული გამოსვლა დამაფიქრებელია. ერთ დროს ისინი საქართველოს ნაკრებს ნიადაგ ავსებდნენ 5-6 და უფრო მეტი ძლიერი სპორტსმენით და რესპუბლიკურ შეჯიბრებებშიც გუნდი მუდამ იკავებდა III ადგილს. ახლა კი საქალაქო ასპარეზობაში მხოლოდ 39 ქულა მოაგროვეს და V ადგილს დასჯერდნენ. ეს მით უფრო საწყენია, რომ „შრომითი რეზერვების“ მოცურავეებს საკუთარი ზამთრის აუზი აქვთ.

დასასრულს, გვინდა ერთი მოსაზრება გამოვთქვათ. ხომ არ აჯობებდა „ვეჩერნი ტბილისის“ პრიზის გათამაშება მომავალში იმავე დროს გაიმართოს, როცა მოცურავეთა საკავშირო თასის გათამაშება ეწყობა მრავალჭიდში? ალბათ ურიგო არ იქნებოდა, თუ ამ პრიზს თბილისელი სპორტსმენებიც მრავალჭიდში გაითამაშებენ და ისინიც იმავე დროს დაამთავრებენ სეზონს, როგორც სსრ კავშირის უძლიერესი მოცურავეები. ვფიქრობთ, ამის თაობაზე თავიანთ აზრს გაგვიზიარებენ ცურვის სპეციალისტები.

ა. გოგოლაშვილი.

* * *







**სურათებზე (ზემოთ): ნ. ზალდასტანიშვილი და ნ. ბახტაძე. პირველი საუკეთესო იყო 100 მეტრზე ბატერფლაით და თავისუფალი სტილით, აგრეთვე, 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში, ხოლო მეორე — 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში; ქვემოთ ხ. ტატუბალინი ასპარეზობისას; დები ინგა და იანა პოტაპოვები ცისფერ ბილიკებზე მეტოქეები არიან. 800 მეტრზე ცურვაში უფროსმა დამ — ინგამ გაიმარჯვა, ხოლო იანა მესამე იყო. მათ მამა — კონსტანტინე ავარჯიშებს.**

ავტორის ფოტოები.

## [illegible]

### ✦ ყვარელი

ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა ქალაქის პირველობა ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა ფიზიკური კულტურის 12 კოლექტივი.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ეთერზეთოვანი მეურნეობა-ქარხნისა და ქინძმარაულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის გუნდები. გამარჯვება ანგარიშით 2:1 წილად ხვდა ეთერზეთოვანი ქარხნის გუნდს, რომელმაც შეინარჩუნა ჩემპიონობა.

თ. წიწრიაშვილი.

### ✦ ზესტაფონი

დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისის „დინამოს“ ვეტერან ფეხბურთელთა სტუმრობამ, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ადგილობრივ გუნდთან. დინამოელთა შორის იყვნენ გ. გაგუა, მ. ხურცილავა, ს. მეტრეველი, ზ. კალოევი, რ. ურუშაძე, ზ. ებრალიძე, რ. ძოძუაშვილი და სხვანი.

საინტერესო მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

ა. განუგრავა.

### ✦ ზუგდიდი

2 ჯგუფად ჩატარდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს პირველობა ფეხბურთში. კოლმეურნეობებს შორის გაიმარჯვა კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის გუნდმა, საბჭოთა მეურნეობებს შორის — ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის კოლექტივმა.

ფინალური მატჩი ამ გუნდებს შორის მოიგეს კახათელებმა — 2:1, რომლებსაც გადაეცათ გარდამავალი თასი.

კ. ფიფია.

### ✦ თერჯოლა

დოსაафის სასროლეთზე ჩატარდა რაიონის მოსწავლეთა პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში. გუნდური ტურნირი ნახშირღელის სკოლის აღსაზრდელებმა მოიგეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ქვედა სიმონეთის პირველი და ზედა საზანოს საშუალო სკოლების კოლექტივები. პირად ტურნირში იმარჯვეს: ვაჟებში — თუზელმა გ. კირკიტაძემ, გოგონებში — ზედასაზანოელმა ლ. კირკიტაძემ.

ვ. კუჭალაძე.



# ფეხბურთი არ არსებობს პრობლემების გარეშე!

## ფიქრები განვლილ სეზონზე

**განვლილი,** 1978 წლის სეზონი აღსავსე იყო საინტერესო, მდიდარი საფეხბურთო მოვლენებით. მისი პროგრამა მოიცავდა მრავალ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებას სხვადასხვა კატეგორიისა და რანგის გუნდების მონაწილეობით. ფეხბურთის მოყვარულებმა წლის განმავლობაში იხილეს ნორჩთა გამოსვლები, ვეტერანთა შეჯიბრებები, რესპუბლიკური გათამაშებები, საკავშირო თასისა და ჩემპიონატის შეხვედრები, ევროპის საკლუბო ტურნირებისა და კონტინენტის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. თითოეული ჩვენგანი, თითქმის როგორც უშუალო დამსწრე, არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის პერიპეტიების მოწმეც იყო. ყოვლისშემძლე ტელევიზია ერთგულად ემსახურა კეთილშობილურ მისიას, ეჩვენებინა ის ძვრები, რაც თანამედროვე ფეხბურთში ხდება, რაზეც უწინ მხოლოდ შორეული წარმოდგენა და ყურმოკრული ცნობები თუ გვქონდა.

სეზონი, უდავოდ, საინტერესო იყო. მან წამოჭრა მრავალი რთული პრობლემა, მათ შორის ბევრი ახალია და ბევრიც ისეთი, „ქრონიკულის“ კატეგორიას რომ მიეკუთვნება. ამ ხარვეზების გამოსწორების აუცილებლობაზე ლაპარაკია წლიდან წლამდე, სეზონიდან სეზონამდე, მდგომარეობა კი არსებითად არა და არ იცვლება. ბევრ საკითხში პროგრესი ან სულ არ იგრძნობა, ან მხოლოდ უმნიშვნელოა, იმდენად, რომ მასზე ლაპარაკიც არ ღირს.

სხვათა შორის, ჩვენს ფეხბურთში მავნე სენად დამკვიდრდა ერთი ასეთი ჩვეულება: ფეხბურთის სპეციალისტები, მიმომხილველები, ოფიციალური პირები ხშირად გამოდიან საჯარო მხილებით, კრიტიკული შენიშვნებით, შემჩნეული ხარვეზების საგანგებო ფიქსირებით, მაგრამ რომ რომელიმე მათგანმა სერიოზულად, სათანადო არგუმენტაციით წამოაყენოს ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზები, დასახოს მდგომარეობის ხსნის საშუალებები — ეს იშვიათად ხდება. გუშინდელი რიცხვით ყველა ბრძენია, წარსულის ლაქებს ყველა კარგად ამჩნევს, საგანგაშო ზარის დამრეკიც არ გვაკლია, მაგრამ საქმიანი მრჩეველი და პერსპექტიული საკითხების გადამჭრელი ბევრი არ ჩანს.

ამ ყაიდის კრიტიკოსები, მაგალითად, ხშირად შეგვახსენებენ ხოლმე, რომ საკავშირო მნიშვნელობის დიდ ღონისძიებებში ხშირად იცვლება დებულებები, ერთი და იგივე შეჯიბრება იმართება ხან ერთი, ხან მეორე ფორმულით, იცვლება გათამაშებათა სტატუტი, საქმეს კი ეს მაინცდამაინც ვერ შველის. საკავშირო ჩემპიონატებში სისტემატურად იცვლებოდა მონაწილე გუნდების რაოდენობა, ჩათვლითი სისტემა, კოლექტივები იყოფოდნენ ქვეჯგუფებად, ინიშნებოდა ყოვლად გაუმართლებელი დამატებითი პენალტები, ლიმიტი ფრედ დამთავრებული მატჩებისთვის, 1976 წელს ორი ჩემპიონატიც კი ჩატარდა. იყო წელი, როცა კლუბის ძირითადი შემადგენლობა ერთ ქალაქში თამაშობდა, სათადარიგო გუნდს კი ამ დროს სულ სხვაგან უხდებოდა გამოსვლა. გვახსოვს შემთხვევები, როცა ერთი და იგივე ფეხბურთელი გაზაფხულზე ერთ კლუბში თამაშობდა, შემოდგომით კი თავისივე ძველი გუნდის კარში უხდებოდა ბურთის გატანა. ყოვლად მოუწესრიგებელი, ლოგიკას მოკლებული იყო გათამაშების კალენდარი. რიგიანად ვერ გავერკვიეთ თასის გათამაშების პრინციპშიც: იგი ხან ორმატჩიანია, ხან — ერთიანი, კიევის „დინამო“ ერთხელ პირდაპირ მეოთხედფინალში იქნა დაშვებული რატომღაც.

ეს ორგანიზაციული ლაფსუსები ჩვენს ფეხბურთს თავიდანვე დაჰყვა ავი ზნესავით, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ წინასწარ ხეირიანად არავინ იცის, თვით დებულების შემდგენლებმაც კი, რას მოიტანს სიახლე: სარგებელს თუ ვნებას, კარგს თუ ცუდს. ვიღაცას ჯერ თეორიულად მოსდის თავში რაღაც „ნოვატორული“ იდეა და მხოლოდ მერე ხდება მისი გამოცდა და ისიც პირდაპირ უმაღლეს დონეზე, არც მეტი არც ნაკლები — უმაღლეს ლიგაში, ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში, მაშინ როცა ელემენტარული ლოგიკა გვკარნახობს ექსპერიმენტი მოხდეს ჯერ სადმე დაბალ ლიგაში, იდეა ყოველმხრივ შემოწმდეს პრაქტიკულად და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს ვიზა „დიდ ცხოვრებაში“. საექიმო დარგში, მაგალითად, არავის მოუვა აზრად რთული ექსპერიმენტული ოპერაცია დაიწყოს ადამიანით და მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდეს პრიმატებზე. იქ ამას პირიქით აკეთებენ, ე. ი. როგორც ამას საქმე მოითხოვს.

ფეხბურთის ორგანიზაციულ მხარეს დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ფაქტიურად ახლაც ახალი, მორიგი ექსპერიმენტის ფაზაში ვიმყოფებით: გაისად სსრ კავშირის ჩემპიონატში 18 გუნდმა უნდა ითამაშოს. კარგია ეს თუ ცუდი? იყო დრო, როცა უმაღლეს ლიგაში სულ 7 გუნდი გამოდიოდა (1936 წლის გაზაფხულზე), მერე ამ რიცხვმა იზარდა, იზარდა და 26-ს მიაღწია (1938) და სხვადასხვა წელს მუდმივად მერყეობდა (8, 9, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 19, 20, 22). მოწინავე მდეგვები მუდამ საკმარისად ჰყავდა გუნდების წარმომადგენლობას უმაღლეს ლიგაში. თუ მისი რაოდენობა მცირდებოდა, გაისმოდა ხმები, რომ ფეხბურთის გეოგრაფია ჩვენს ქვეყანაში ძალზე შეზღუდულია და ეს ხელს უშლის სპორტის ამ სახეობის განვითარებას, მაგრამ თუ უმაღლესი ლიგის კონტინგენტი იზრდებოდა ორ ათეულამდე, მაშინვე ხმას იმაღლებდნენ ოპონენტები, რომ სუსტი გუნდების ხელოვნური ჩამატება უძლიერესთა ჯგუფში აქვეითებს თამაშის საერთო კლასს და ადაბლებს მაყურებელთა ინტერესს მატჩებისადმი. დავას ბოლო არ უჩანდა და არც ახლა უჩანს, თანაც მოპაექრე მხარეები თავიანთ მოსაზრებას გამოთქვამენ, როგორც წესი, მხოლოდ მაშინ, როცა სეზონი დამთავრებულია და მორიგი „ნოვატორობაც“ კრახით მთავრდება ხოლმე.

როგორც მოგეხსენეთ, ჩვენი ფეხბურთი ახლაც რეფორმას განიცდის: მომავალ წელს უმაღლეს ლიგაში გამოვა 18 გუნდი. ბოლო წლებში, თითქოს, მიგნებული გვქონდა ოქროს მედლების მაძიებელთა ოპტიმალური რაოდენობა — 16. ასე იყო 9 წლის მანძილზე, ახლა კი ირკვევა, რომ ჯობნებია 18 გუნდი. ვნახოთ, ესეც შევამოწმოთ, თუმცა 18 გუნდი ერთხელ ჩვენს უმაღლეს ლიგაში უკვე იყო, 1949 წელს, მაგრამ, რამდენადაც გვახსოვს, 1949 წელს რაღაც საგანგებო მიღწევები არა გვქონია.

როცა ვლაპარაკობთ ფეხბურთის სპეციალისტებზე, ჩვენს მწვრთნელებზე, გვინდა სინანულით გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ მათი უმეტესობა ძუნწად არიდებს თავს საპრობლემო საკითხებზე საკუთარი აზრის გამოთქმას, საჯარო დისპუტებში მონაწილეობას და ფართო საზოგადოებრიობას არ უზიარებს თავის გამოცდილებას. ამ ზაფხულს „ლელოში“ გამოქვეყნდა შ. მერკვილაძის სტატია ბავშვთა ფეხბურთში საჭირო რეორგანიზაციის თაობაზე. წერილმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა მკითხველთა შორის, ვინ არ გამოუგზავნა რედაქციას წერილი, ვინ არ დაინტერესდა საკითხით, იმ მწვრთნელებმა კი, რომლებიც ბავშვთა შორის მუშაობენ და ძირფესვიანად გაეგებიან ამ საქმის ავკარგი, ტრადიციული მდუმარება არჩიეს. ასეთი „ჩირგვში ჯდომა“ მხოლოდ საზიანოა საქმისთვის.

რა მტკიცება უნდა იმ ჭეშმარიტებას, რომ ბავშვთა ფეხბურთის ამბები ბავშვთა მწვრთნელს უფრო გაეგება და სწორედ მან უნდა ილაპარაკოს მის პრობლემებზე? საკლუბო თუ ნაკრები გუნდების რეცენზიებსაც გამოცდილი მწვრთნელები და ფეხბურთელები უნდა სწერდნენ, ეს უფრო საყურადღებოა მკითხველისთვის.

მაგალითად, ფეხბურთის მოყვარულებს ძალზე აინტერესებთ სპეციალისტთა მოსაზრებანი „ა“ კლასის II ლიგის გუნდებზე, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებზე. რა მთავარ მიზნებს ემსახურება ეს ფეხბურთი ჩვენში, რა ძირითადი ამოცანებია მის წინაშე დასახული, რას ველით ამ ე. წ. „მეორე ეშელონისგან“?

ამოცანა ბევრია. II ლიგის გუნდი, უპირველეს ყოვლისა, ფეხბურთის პროპაგანდისტია თავის ქალაქში, ხელს უწყობს ახალგაზრდობის დაინტერესებას თამაშით, ააქტიურებს ადგილობრივი სპორტული ორგანიზაციების საქმიანობას, მაყურებელს აცნობს სხვადასხვა სიძლიერისა და სტილის ჩამოსულ მეტოქეთა თავისებურებებს. II ლიგა მნიშვნელოვან ძალად იქცა, რომლის წარმომადგენლები საკმაოდ მაღალ დონეზე აწარმოებენ დავას საერთო მიღწევებისთვის, ბავშვები ბევრ რამეს სწავლობენ ამ მატჩების ხილვით, უფრო ნაყოფიერად მუშაობენ ოსტატთა კოლექტივებთან არსებული ნორჩთა მოსამზადებელი ჯგუფები. ერთი სიტყვით, მასშტაბები აქ სოლიდურია.

მაგრამ მთავარი ამოცანა, რაც II ლიგას აკისრია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში, ესაა ახალგაზრდა ფეხბურთელთა აღზრდა უფრო მაღალი ლიგების გუნდებისთვის, მათი გამოწრთობა და დაწინაურება ოფიციალურ შეჯიბრებებში, მრავალრიცხოვანი მაყურებლის თანდასწრებით, ოსტატთა შემცვლელი თაობის მომზადება. რა თქმა უნდა, II ლიგაში მონაწილე ყოველ ქალაქს აქვს თავისი ლოკალური მიზნები, წმინდა სპორტული მიღწევების მოპოვებასთან დაკავშირებული ამოცანები, ძლიერი ფეხბურთელები ყველას სჭირდება, ყველა ცდილობს რაც შეიძლება მაღლა გადაინაცვლოს გათამაშების ცხრილში, გარკვეულ შემთხვევებში მიიწვიოს კიდეც გუნდისთვის საჭირო მოთამაშე სხვა ქალაქიდან, მაგრამ ერთი რამ ყველასთვის ცხადია: არ შეიძლება არსებობდეს II ლიგის კოლექტივისთვის უფრო საპატიო და სახელო მიზანი, ვიდრე თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოსთვის“ პერსპექტიული ფეხბურთელის აღზრდა. [illegible] ხასიათის ყველა პრობლემა და [illegible], საბოლოოდ თავს უყრის [illegible] საქმის ერთ მთავარ პრინციპულ ასპექტში — მაღალი კლასის ოსტატთა აღზრდაში და ვინც ამ პატრიოტულ მოვალეობას პირნათლად ასრულებს, ქება და დიდება მას.

როცა ამას ვლაპარაკობთ, მხედველობაში ის გარემოება გვაქვს, რომ რესპუბლიკის II ლიგის ზოგიერთ გუნდში ჯერ კიდევ ვხვდებით ასაკოვან, ე. წ. უპერსპექტივო ფეხბურთელებს, რომლებიც იმდენად სარგებლობას ვერ აძლევენ თავიანთ კოლექტივებს, რამდენადაც გზას უხშობენ ძირითად შემადგენლობაში ნიჭიერ ახალგაზრდებს, ამუხრუჭებენ მათს პროგრესს. სადავო არაა, რომ ყოველ გუნდს ესაჭიროება ის გამობრძმედილი მოთამაშეები, რომელთა გამოცდილება და ცოდნა თვალსაჩინო გაკვეთილია დამწყებთათვის, მაგრამ გონიერული პროპორცია ყველგან უნდა იქნას დაცული, ხანდაზმულობამ არ უნდა გადაძლიოს მომავალი თაობის წილი. ხვალინდელი დღე ახალგაზრდებს ეკუთვნით.

თქმა იმისა, რომ ჩვენი II ლიგა არ იძლევა პერსპექტიულ ფეხბურთელებს, არ შეიძლება. შევსება არის. საკმარისია გავიხსენოთ, თუნდაც ის, რომ თბილისის დინამოელებმა დ. გოგიამ, ო. გაბელიამ, შ. ხინჩაგაშვილმა, ნ. ხიზანიშვილმა, თ. კოსტავამ, ვ. ქორიძემ, ვ. დარასელიამ, რ. ჩელებაძემ, რ. შენგელიამ, თ. სულაქველიძემ და სხვებმა სხვადასხვა დროს გაიარეს რესპუბლიკური ჩემპიონატის, I თუ II ლიგების დაწყებითი სკოლა, რომელმაც მათ ბევრი რამ მისცა, ნიჭიერ ფეხბურთელთა ეს ცხოველმყოფელი ნაკადი „ქვევიდან ზევით“ არ უნდა შეწყდეს. ჩვენი მოწინავე ფეხბურთი მუდამ ცოცხლობდა ადგილებზე აღმოჩენილი ტალანტებით და მისი საარსებო წყარო მომავალშიც ეს იქნება.

მაგრამ II ლიგის საკავშირო გათამაშებას აქვს ძალზე სერიოზული ხარვეზები, რომლებიც მნიშვნელოვნად უშლიან ხელს მის წარმატებით მსვლელობას.

პირველი — გუნდების რაოდენობა ზონებში მეტისმეტად, ხელოვნურად გაზრდილია და თვით ზონაც (მხედველობაში გვაქვს IV ზონა) გეოგრაფიული თვალსაზრისით ძალზე უხეიროდ, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, უაზროდ არის შეკოწიწებული. მისი დაკომპლექტებისას არაა დაცული არც სპორტული, არც ეკონომიკური, არც ტერიტორიული პრინციპი. კაცს თუ იოტის ოდენა წარმოდგენა მაინც აქვს ელემენტარულ, პირველდაწყებით სასკოლო გეოგრაფიაზე, ერთ ზონაში არ მოახვედრებს პერმს და სტეფანაკერტს, ნიჟნი ტაგილს და სამტრედიას [illegible]. გასაოცარია, რომ არავის აინტერესებს [illegible] ზედნადები ხარჯები, რომლებსაც იწვევს ფეხბურთელთა მოზრდილი ჯგუფების ვოიაჟი ათასობით კილომეტრებზე, შავი ზღვის სანაპიროდან შუა ვოლგამდე, როცა ეს შორეული ექსკურსიები ფეხბურთის განვითარებისთვის არ წარმოადგენს აუცილებლად საჭირო წამალს. სულ იოლად შეიძლება ზონა შედგეს ისე, რომ არც მისი სიძლიერე იქნას დარღვეული და არც ცხრა მთას იქით მოუხდეთ ადამიანებს იძულებითი მოგზაურობა.

მეორე — ზონის შემდგენნი არც იმას ღებულობენ მხედველობაში, რომ კლიმატური სარტყელების ასეთი დიდი ამპლიტუდა საზიანოდ მოქმედებს ადამიანზე. რა სარგებლობა მოაქვს იმას, რომ საქართველოს გუნდები შინ ვარჯიშობენ და გამოდიან სუბტროპიკული კლიმატის პირობებში და ამავე დროს თამაში უხდებათ ჩრდილოეთის ყინულიან მინდვრებზე. უამინდობის გამო ფრენა ქალაქებს შორის ხანგრძლივად წყდება, გუნდებს სისტემატურად უხდებათ ღამის თევა აეროპორტში და რის ვაი-ვაგლახით ასწრებენ ხოლმე კალენდარულ მატჩებზე ჩასვლას.

მესამე — 24 გუნდი ზონაში იმდენად დიდი ციფრია, რომ კალენდრის შემდგენელებს შეხვედრათა გრაფიკის შემჭიდროება უხდებათ ყოვლად დაუშვებელ ვიწრო შუალედებამდე. თამაშები იმართება ზედიზედ, გაუმართლებელი სიხშირის ინტერვალებით, ყოველ მესამე-მეოთხე დღეს, რაც დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ფეხბურთელის წვრთნის თანამედროვე მეთოდიკას. როგორ შეიძლება ლაპარაკი საწვრთნელი პროცესის სისწორეზე II ლიგის გუნდებში, როცა ისინი კვირიდან კვირამდე ტრანსპორტის ტყვეობაში იმყოფებიან და შეჯიბრებებით არიან დაკავებული. უწვრთნელი ფეხბურთელის მომზადების დონე კი, მოგეხსენებათ, როგორიც იქნება.

მეოთხე — მსაჯობის საერთო დონე II ლიგაში არადამაკმაყოფილებელია და საქმე ხშირად უსიამოვნო ინციდენტებამდეც მიდის ხოლმე. მართალია, აქ შემოიღეს მატჩების ოფიციალური ინსპექტორების პრაქტიკა, მაგრამ ეს ხდება ცალკეულ შემთხვევებში, ეპიზოდურად, მაშინ როცა თითოეული შეხვედრა აქ ზუსტ კონტროლზე უნდა იქნეს აყვანილი.

თქმა არ უნდა, II ლიგის გუნდების საკავშირო ტურნირი საჭიროებს საფუძვლიან რეკონსტრუქციას, ზონები უნდა დაკომპლექტდეს მეზობელი რესპუბლიკების ტერიტორიული პრინციპით, მონაწილეთა რაოდენობა შეირჩეს ოპტიმალურად, შეიქმნას ნორმალური, გეგმაზომიერი წვრთნის პირობები. II ლიგა ოსტატთა კატეგორიაა და მას უფრო სერიოზული, გულისხმიერი ხელმძღვანელობა სჭირდება.

(გაგრძელება იქნება)

ნ. ჩხატარაშვილი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ბ. ქორქია,
საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

II ლიგა, IV ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზვეზდა“ (პერმი) | 46 | 25 | 10 | 11 | 77—42 | 60 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 46 | 24 | 11 | 11 | 82—48 | 59 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 46 | 21 | 11 | 14 | 64—45 | 53 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 46 | 19 | 15 | 12 | 73—51 | 53 |
| „ტორპედო“ (ტოლიატი) | 46 | 20 | 12 | 14 | 61—37 | 52 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 46 | 20 | 12 | 14 | 64—50 | 52 |
| „კოტაიკი“ (აბოვიანი) | 46 | 23 | 5 | 18 | 66—64 | 51 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 46 | 21 | 8 | 17 | 74—71 | 50 |
| „დილა“ (გორი) | 46 | 18 | 14 | 14 | 59—53 | 50 |
| „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) | 46 | 22 | 5 | 19 | 57—54 | 49 |
| „ავტომობილისტი“ (ბაქო) | 46 | 20 | 9 | 17 | 60—60 | 49 |
| „ზენიტი“ (იჟევსკი) | 46 | 16 | 17 | 13 | 67—53 | 49 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 46 | 18 | 12 | 16 | 62—48 | 48 |
| „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) | 46 | 21 | 5 | 20 | 53—63 | 47 |
| „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) | 46 | 19 | 9 | 18 | 55—46 | 47 |
| „გაზოვიკი“ (ორენბურგი) | 46 | 17 | 10 | 19 | 58—56 | 44 |
| „დინამო“ (კიროვი) | 46 | 17 | 9 | 20 | 64—65 | 43 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 46 | 15 | 12 | 19 | 61—66 | 42 |
| „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) | 46 | 16 | 8 | 22 | 63—69 | 40 |
| ფიზკ. ინსტ. (ერევანი) | 46 | 12 | 16 | 18 | 40—49 | 40 |
| „გასტელო“ (უფა) | 46 | 14 | 10 | 22 | 48—61 | 38 |
| „ხაზარი“ (ლენქორანი) | 46 | 14 | 8 | 24 | 44—76 | 36 |
| „პროგრესი“ (კიროვაბადი) | 46 | 13 | 3 | 30 | 45—97 | 29 |
| „არაზი“ (ნახიჩევანი) | 46 | 9 | 5 | 32 | 38—111 | 23 |

# მიზანი: პირველი ხუთეული

ფრუნზე. 19 დეკემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ფინიშის მოახლოებამ გაამძაფრა თამაში ქალთა მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში, რომელიც ყირგიზეთის დედაქალაქში მესამე კვირაა მიმდინარეობს. გუშინ გამართულმა გადადებული პარტიების დამთავრებამ სიცხადე შეიტანა სატურნირო ცხრილში, ნათელი შეიქნა, თუ ვის აქვს შანსი მოხვდეს პირველ ხუთეულში, რაც საზონათაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლებას იძლევა.

12 ტურის შემდეგ ნ. გურიელსა და მ. რანიკუს (ტალინი) 9-9 ქულა აქვთ, მ. ლიტინსკაიას (ლვოვი) — 8, ნ. იოსელიანს, ტ. ზატულოვსკაიას (მოსკოვი) — 7,5-7,5, თ. ვორონოვას (ნაბერეჟნიე ჩელნი), ნ. ტიტორენკოს — 6,5-6,5, ტ. ჩეხოვას (ორივე — მოსკოვი) — 6, ტ. ფომინას (ტალინი) — 5,5 ქულა და 2 გადადებული პარტია, ლ. ზაიცევას (მოსკოვი) — 5,5 (1).

გადადებული პარტიების დამთავრებისას გურიელმა და რანიკუმ 1,5-1,5 ქულა მოაგროვეს. გურიელს თ. ხუგაშვილი დანებდა თამაშის განუახლებლად, ხოლო შეხვედრა ო. სემიონოვასთან ნიჩიით დაამთავრა. რანიკუმ სძლია ტ. მოროზოვას (ოდესა) და ლ. ბელავენეცს (მოსკოვი) დაუზავდა.

ხუგაშვილმა ორი პარტია ითამაშა და დამარცხდა ჩეხოვასთან და ვორონოვასთან. სსრ კავშირის ჩემპიონმა სემიონოვამაც კიდევ ორი პარტია დაამთავრა: მოუგო ფომინას და ყაიმზე შეუთანხმდა უკრაინის ჩემპიონს ლ. ლისენკოს (კიევი). აგრეთვე, დაზავდნენ ლისენკო — ბელავენეცი, ბელავენეცი — ფომინა და ვორონოვა — ჩეხოვა.

ლიტინსკაიამ დაამარცხა საუნინა, ზატულოვსკაიამ — ფომინა.

ზაიცევა — ფომინას შეხვედრა მეორედ გადაიდო 105-ე სვლაზე. ამიტომ ფომინას პარტიაში საუნინასთან თამაში არ განახლებულა.

დასკვნით სამ ტურში დიდ ინტერესს იწვევს ლიდერთა შეხვედრები: გურიელის — მოროზოვასთან, ვორონოვასთან და ბელავენეცთან, რანიკუს — ფომინასთან, ლიტინსკაიასთან და ჩეხოვასთან, ლიტინსკაიას — ტიტორენკოსთან და იოსელიანის პარტიები ხუგაშვილთან, სემიონოვასთან და ვორონოვასთან.

## ჭადრაკი

### საზონათაშორისო საგზურებისთვის

სხვადასხვა ქალაქსა და ქვეყანაში გაიმართა ანდა იწყება ვაჟთა მსოფლიო პირველობის 1978-1981 წლების ციკლის ზონალური ტურნირები. უკვე გამოვლინდნენ ორი საზონათაშორისო ტურნირის მონაწილენი ფიდე-ს ამერიკის, კანადისა და აზიის ზონებიდან.

ახლახან ამსტერდამში დამთავრდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოჭადრაკეთა ზონალური ტურნირი. I-II ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა ინგლისელმა ე. მაილსმა და ჰოლანდიელმა ი. ტიმანმა — 11,5-11,5 ქულა 14-დან. ორივე მოჭადრაკე გაიხად საზონათაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

სსრ კავშირიდან საზონათაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება მოპოვებული აქვთ მ. ტალს, ი. ბალაშოვსა და რ. ვაგანიანს. კიდევ ორი საგზურისთვის დამატებით მატჩ-ტურნირში მალე ბრძოლას შეუდგებიან გ. კუზმინი, ვ. ცეშკოვსკი და ო. რომანიშინი.

საზონათაშორისო ტურნირში პერსონალურად მიწვეული არიან ტ. პეტროსიანი და ლ. პოლუგაევსკი, ხოლო ბ. სპასკი პირდაპირ დაშვებულია პრეტენდენტთა მატჩებში, რომელიც 1980 წელს გაიმართება.

# ჯერ ექსპერიმენტის სახით

სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო თასების გათამაშებას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. მისი ორგანიზატორები დროდადრო ცდილობენ დებულებაში ერთგვარი სიახლეები შეიტანონ, რომ სპორტის ეს სახეობა უფრო პოპულარული გახდეს.

ამას ვერ ვიტყვით მორბენლებზე — სათხილამურო სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლები აქამდე მოკლებულნი იყვნენ ასეთ შეჯიბრებას. არადა, მათ უფრო მეტი მიმდევრები ჰყავთ. ახლა თხილამურებით დარბიან მსოფლიოს გაცილებით მეტ ქვეყანაში.

და აი, სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციაში დაისვა წინადადება შემოიღონ მორბენალთა მსოფლიო თასების გათამაშება. ასეთი ტურნირი წლევანდელ სეზონში პირველად ეწყობა და საცდელ ხასიათს ატარებს. ექსპერიმენტები მომავალ სეზონშიც გაგრძელდება. ვარაუდობენ, რომ ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ რბენებში მსოფლიო თასების გათამაშება საბოლოოდ დამკვიდრდება საერთაშორისო ტურნირების კალენდარში.

ამრიგად, დღეს და ხვალ ამერიკის ქალაქ ტელემარკში (ვისკონსინის შტატი) გაიმართება ამ მარათონული ასპარეზობის პირველი შეჯიბრება, რომელშიც ქალები 5, ხოლო ვაჟები 15 კილომეტრზე შეეჯიბრებიან ერთმანეთს. წლევანდელი თასების გათამაშების პროგრამაში სულ 9-9 რბოლა იქნება (ქალებისა და ვაჟებისთვის). უძლიერესნი კი 5-5 რბოლაში მოპოვებული საუკეთესო მაჩვენებლების ჯამით გამოვლინდებიან. ამასთან, ქალებისთვის აუცილებელია თუნდაც ერთ „მარათონულ" (20 კმ) დისტანციაზე გამოსვლა, ხოლო ვაჟებისთვის ორ ასეთ დისტანციაზე ასპარეზობაში (30 და 50 კმ) მონაწილეობა იქნება სავალდებულო. ყოველ შეჯიბრებაში გამარჯვებული 26 ქულას მიიღებს, II ადგილზე გასული — 22 ქულას, III პრიზიორი — 19 ქულას და ა. შ. სულ 20 ადგილი ფასდება.

წლევანდელი მსოფლიო თასების გათამაშების მონაწილენი შეირჩა მარშან ლაპტში გამართულ მსოფლიო პირველობის შედეგებით. ამ სიას საბჭოთა სპორტსმენები სვერდლოვსკელი — ზ. ამოსოვა და ლენინგრადელი ე. ბელიაევი ლიდერობენ. სულ მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებით ფავორიტთა შორის 15 ქალი და 20 ვაჟია. მათ შორის მოხვდნენ, აგრეთვე, ნ. სმეტანინა, გ. კულაკოვა, რ. ხვოროვა, ნ. ბაჟუკოვი, ვ. როჩევი, ს. საველიევი და ნ. ზიმიატოვი.

საბჭოთა სპორტსმენები, ისე, როგორც ზოგიერთი სხვა ევროპული მოთხილამურე, ტელემარკის სტარტებში მონაწილეობას არ მიიღებენ. ჩვენი ქალებისთვის პირველი სათასო ასპარეზობა იქნება 30 დეკემბერს დასავლეთ გერმანიის ქალაქ ფორტვანგე-ნოიკირხში 5 კილომეტრზე რბენა, ხოლო ვაჟები ბრძოლას კავგოლოვოს თამაშებიდან (6-7 იანვარი) დაიწყებენ.

სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის 1981 წლის კონგრესი საბოლოოდ დაამტკიცებს თასების გათამაშების რეგლამენტსა და სისტემას.

# ტელეტაიპის ლენტიდან

ლოძი. მაგიდის ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონმა პაკ იუნგ სუნმა (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა), რომელმაც გადამწყვეტ მატჩში მოუგო თანამემამულეს პაკ იუნგ ოკს. კორეელი სპორტსმენი ქალები უძლიერესნი იყვნენ გუნდურ ასპარეზობაშიც — ფინალში დაამარცხეს იუგოსლაველი ჩოგბურთელები —3:0.

ვაჟთა შორის პირად შეჯიბრებაში ყველას აჯობა ი. იუხასმა (იუგოსლავია), გუნდურში კი გაიმარჯვა გფრ-ის ნაკრებმა:

ჩვენმა ვაჟებმა გუნდური შეჯიბრების ნახევარფინალში წააგეს დასავლეთ გერმანიის გუნდთან — 0:3.

კინგსტონი. ცნობილმა რუმინელმა ჩოგბურთელმა ი. ნასტასემ კვლავ დაამტკიცა მაღალი ოსტატობა — გაიმარჯვა იამაიკის დედაქალაქში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომლის ფავორიტად უიმბლდონის სამგზის გამარჯვებული შვედი ბიორნ ბორგი ითვლებოდა.

მაგრამ ბორგმა ნახევარფინალში მოულოდნელად წააგო 23 წლის ამერიკელ პ. ფლემინგთან — 5:6; 5:6. ამერიკელი ჩოგბურთელი ახლოს იყო წარმატებასთან ნასტასესთან გადამწყვეტ შეხვედრაში, მაგრამ ბოლოს მაინც წააგო — 6:2, 6:5, 2:6, 4:6, 4:6.

ბონი. 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში მსოფლიოს რეკორდსმენმა (1.02,86) ჯ. მერკენმა (გფრ) ეს დისტანცია ესენის შეჯიბრებაში 1.01,0-ში დაფარა, მაგრამ ეს მაღალი შედეგი ნაჩვენები იქნა 25-მეტრიან აუზში.

პრაღა. თასების მფლობელთა თასის გათამაშების მომდევნო ტურში გავიდნენ „რუდა გვეზდას" ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდები. ქალთა გუნდმა ანგარიშით 3:0 დაამარცხა დასავლეთგერმანული გუნდი „ვც" (ჰანოვერი), ხოლო ვაჟებმა გაიმარჯვეს საფრანგეთის „ასნერს სპორტსთან" (პარიზი) შეხვედრაში — 3:1. (საკდესი).

## განვლილ შეჯიბრებებზე ფოტოთვალით



საბჭოთა სპორტსმენები ენერგიულად ემზადებიან მომავალი წლის სტარტებისათვის, სადაც უნდა შემოწმდეს მათი მზადყოფნა მოსკოვის 1980 წლის საზაფხულო და ლეიკ-პლესიდის XIII „თეთრი" ოლიმპიადებისთვის.

29 წლის მოსკოველმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, ხმლით მოფარიკავე ვ. კროვოპუსკოვმა, რომელმაც მონრეალის ოლიმპიადაში ოქროს მედალი მოიპოვა, წლეულს მსოფლიო ჩემპიონის წოდებაც დაისაკუთრა. ცოტა ადრე იგი მსოფლიო თასის მფლობელიც გახდა. ს უ რ ა თ ზ ე: ვ. კროვოპუსკოვი მორიგი ვარჯიშის შემდეგ.

• • •

ჰოკეისტთა წლევანდელი სეზონი ერთგვარად საიუბილეოა მოსკოვის სპარტაკელის, 38 წლის ვ. სტარშინოვისთვის. 19 ნოემბერს რიგის „დინამოსთან" მისი გუნდის შეხვედრის დროს სტარშინოვმა საკავშირო ჩემპიონატებში თავისი საიუბილეო მეოთხასე გოლი გაიტანა.

საკდესის ფოტოები.



# სენსაციის ექო

ვენა. ავსტრიული გაზეთები სენსაციად მიიჩნევენ საბჭოთა სამთო-მოთხილამურის ვ. მაკეევის წარმატებას, რომელმაც 1978-79 წლების მსოფლიოს თასის გათამაშების პირველ ეტაპზე III ადგილი დაიკავა სწრაფდაშვებაში.

როგორც გაზეთი „პრესე" წერს, მაკეევის მიღწევა სრულიად კანონზომიერი იყო. ვლადიმერი წლიდან წლამდე აუმჯობესებდა შედეგებს, შარშან კი გარმიშ-პარტენკირხენში IX ადგილზე გავიდა. „განსაკუთრებით შთამბეჭდავი, — ხაზგასმით წერს გაზეთი, — საბჭოთა მოთხილამურის ფინიში იყო. იგი პირველი საბჭოთა სპორტსმენია, რომელიც ამ შეჯიბრებაში მსოფლიოს საუკეთესო სამთო-მოთხილამურეთა სიაში შევიდა. მაკეევს გულითადად მიულოცა ამ შეჯიბრების გამარჯვებულმა, კანადელმა კენ რიდმა, რომელთანაც ვლადიმერი რამდენიმე ხანს ვარჯიშობდა.

. პირდაპირ უნდა ითქვას, — წერს გაზეთი, — რომ მთელი სიმპათიები საბჭოთა გუნდის მხარეზე იყო. მისი ყველა წევრი 20 საუკეთესოთა შორის მოხვდა. როგორც გაზეთი „კურიერი" წერს, საბჭოთა სპორტსმენმა ჩამოიტოვა ყველა ავსტრიელი სამთო-მოთხილამურე და დაამტკიცა, რომ ბრწყინვალე ფორმაშია.

„არბაიტერ-ცაიტუნგის" აზრით, მაკეევის III ადგილი უდიდესი წარმატებაა. „ახლა ავსტრიელ სამთო-მოთხილამურეებს, რომლებიც „სამთო-სათხილამურო ტრასის ღმერთებად" ითვლებოდნენ, მოუწევთ არა მარტო შევიწროვება, არამედ გულის ფანცქალი საპრიზო ადგილებისთვის", — წერს გაზეთი. (საკდესი).

ავსტრიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა სენეკოვიჩმა, რომელიც არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გადადგა თავისი პოსტიდან, ხელი მოაწერა 2-წლიან კონტრაქტს მექსიკის პროფესიულ კლუბ „უნივერსიდად აუტონომა დე გვადალახარასთან".

## ფეხბურთი

ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებული მატჩების რაოდენობით მსოფლიო რეკორდი, როგორც ცნობილია, ეკუთვნის შვედ ფეხბურთელს ნორდკვისტს — 115. და აი, შვედმა თავისი უკანასკნელი, გამოსათხოვარი მატჩი ჩაატარა ნაკრების შემადგენლობაში, რომელიც არც ისეთი სასიამოვნო შედეგით დამთავრდა რეკორდსმენისთვის: „ტრე კრუნურის" გუნდი ანგარიშით 1:3 დამარცხდა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან. ,



ამერიკის შეერთებული შტატების საუნივერსიტეტო ქალაქებში ამ რამდენიმე წლის წინ წარმოიშვა „სპორტის" ახალი სახეობა — სახლის კედლებზე ცოცვა. შეიქმნა კიდეც ერთგვარი გაერთიანება, რომლის წევრები დაცოცავენ სხვადასხვა ტიპის შენობის კედლებზე და ბევრი ამ საქმეში ისე გაიწაფა, რომ მას კედელზე მორბენალიც შეიძლება უწოდოს კაცმა.

ერთ-ერთი მათგანია სან-ფრანცისკოს მცხოვრები ედვინ ფრამოდი. მისთვის არა აქვს მნიშვნელობა თუ რითია ნაგები შენობა: ქვით, აგურით, ხით, ბეტონით. ე. ფრამოდმა არ დატოვა თავისი საცხოვრებლის ახლომახლო შენობა, ორჯერ სცადა დაეძლია მაღლივი სახლი, რომელიც ეკუთვნის კორპორაცია „ტრანსამერიკენს", მაგრამ ორივეჯერ მისი „სარეკორდო" ასვლა შეწყვიტა პოლიციამ.

უფრო იღბლიანი აღმოჩნდა 23 წლის იაპონელი ჯ. ფუძივარუ. მან შეარჩია კონცერნ „სუმიმოტოს" ცათამბჯენი, შეიმოსა შესაბამისად და შეუდგა 210-სართულიანი გიგანტის შტურმს. ტოკიოს მაცხოვრებლები სულგანაბული ადევნებდნენ თვალს ამ გაბედულ ტრავერსს, რომელიც ჯ. ფუძივარუმ წარმატებით დაასრულა, მაგრამ აქაც საქმეში ჩაერია პოლიცია, რომელიც შენობის სახურავზე ჩასაფრებოდა ფუძივარუს.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: (აპ-საკდესის ფოტოები) ნაჩვენებია თუ როგორ იპყრობენ შენობათა კედლებს „სპორტის" ამ ახალი სახეობის წარმომადგენლები.



რედაქტორი ა. ბასილაია.

25 დეკემბერს

თბილისში, ალპური კლუბის სხდომათა დარბაზში (კიროვის სახელობის პარკში) ჩატარდება „განთიადის" X საქალაქო კონფერენცია.

დასაწყისი 16 ს.

დელეგატების რეგისტრაცია 15 საათიდან.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-53; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-61; მოხწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 13415